ბიბლიოთეკა
თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა
F76 №460

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

კვირა, 5 აპრილი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 14 (225). ფასი 30 კაპ.

საბავშვო მწერლობის და გამომცემლობის გააქტიურებისათვის

დიდმა სამამულო ომმა უღრმესი სულიერი ძვრები მოახდინა ჩვენი ქვეყნის ნორჩ თაობაში, ჩვენი ბავშვების ცხოვრებაში. საბჭოთა ბავშვი მთელი სიმძაფრით განიცდის სამამულო ომის ამბებს. ეს გასაგებიცაა, რადგან ჩვენში იშვიათია ბავშვი, რომელსაც მამა, დედა ან ძმა ან სხვა რომელიმე ახლობელი არ ჰყავდეს ფრონტზე, იშვიათია ბავშვი, რომლის ოჯახიც თავის ამა თუ იმ წევრით უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდეს ფაშისტ დამპყრობლებთან ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის გაჩაღებულ გრანდიოზულ ბრძოლებში. უმცროსი ასაკის ბევრი ბავშვი ინსტინქტურად გრძნობს, ხოლო უფრო მოზრდილებს ნათლად შეგნებული აქვთ, რომ დღევანდელი ომი სამკვდრო-სასიცოცხლო ომია, რომ ამ ომში წყდება ჩვენი მომავლის საკითხი, ე. ი. ჩვენი ნორჩი თაობის ბედი. ამიტომ ბუნებრივია, თუ საბჭოთა ბავშვი მთელი დაძაბული ყურადღებით და მღელვარებით ადევნებს თვალყურს ომის მიმდინარეობას. ყველა ჩვენგანი ყოფილა და არის ყოველდღე მოწმე იმისა თუ რა სიხარულს და აღტაცებას იწვევს ბავშვში ყოველი გამარჯვება საბჭოთა იარაღისა, თუ რა შარავანდედით იმოსებიან ბავშვების თვალში ის საბჭოთა პატრიოტები, რომლებმაც სიმამაცით თავი გამოიჩინეს და გმირული საქმეებით ასახელეს თავიანთი კუთხე, თავიანთი სოფელი, თავიანთი ოჯახი. ჩვენი ბავშვი დღეს ფრონტის ამბებით სცოცხლობს, დღეს სამამულო ომის ჰეროიკით საზრდოობს. და მწერლობის დიდი დანაშაული იქნებოდა, რომ მას თავისი ყურადღების გარეშე დაეტოვებიოს ჩვენი მოზარდი თაობის ეს ღრმა ინტერესი სამამულო ომის დიადი ამბებისადმი. მაგრამ სამწუხაროთ ჩვენი მწერლობა და ხელოვნება ყოველთვის დროზე როდი უპასუხებენ ჩვენი ბავშვების მოთხოვნას—მხატვრულ განზოგადოებულ სახეებში მოცემული იქნას ზოია კოსმოდემიანსკაიას, ლიზა ჩაიკინას, შურა ჩეკალინის და მრავალ ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტის გასაოცარი გმირული საქმენი. ვერ ვიტყვით, რომ ქართველ საბჭოთა მწერლებს დღემდე არ გახსენებოდათ წიგნების დაწერა სამამულო ომის წარმტაც მასალაზე, მაგრამ საბავშვო მწერლების შემოქმედებით თაოსნობას, ამ ამოცანის გადაწყვეტისაკენ მიმართულს, ნაწილობრივ ჰბორკავდა და ჰბორკავს ის გარემოება, რომ საბავშვო საყმაწვილო ლიტერატურის გამომცემლობამ დღემდე ვერ გარდაქმნა თავისი საქმიანობა სამამულო ომის მიერ წამოჭრილი ამოცანების მიხედვით. ბევრ მწერალს, რომელსაც განცხადება შეუტანია თანამედროვე აქტუალურ თემაზე მხატვრული ნაწარმოების დაწერის შესახებ, ზემოხსენებულ გამომცემლობისაგან მიუღია ერთი სტანდარტული პასუხი—არა გვაქვს ქაღალდის საკმაო მარაგიო, ეს მაშინ, როცა ის მარაგი, რომელიც მას მოეპოება, მიზანშეუწონლად იხარჯება, როცა გამომცემლობა ბეჭდავს წიგნებს, რომელნიც მოკლებული არიან აქტუალობას და რომელთა გამოცემა ჩვენს პირობებში ზედმეტ ფუფუნებად შეიძლება ჩაითვალოს. იმ ფაქტში, რომ საბავშვო გამომცემლობა ზოგჯერ არა თავის პირდაპირ საქმეს აკეთებს, რომ იგი სცემს არა საბავშვო საყმაწვილო წიგნებს, რომ ამა თუ იმ წიგნის გამოცემისას იგი ხელმძღვანელობს იმდენად არა ნორჩი თაობის იდეურ-მხატვრული აღზრდის ინტერესით, რამდენად ამ ინტერესებისაგან დაშორებულ სხვა ანგარიშით, —ყველა ამ ფაქტში, უეჭველია, მწერალთა საზოგადოებრიობას, მწერალთა კავშირს და მის საბავშვო სექციასაც მიუძღვის ბრალი, რადგან ჩვენ ვერ გამოვიყენეთ საზოგადოებრივი კონტროლის უფლება ამ გამომცემლობის მიმართ, ჩვენ იმ თავითვე განზე გაუდექით ბავშვებისათვის საჭირო გამოსაცემ ლიტერატურის შერჩევის საქმეს და თვალყურს არ ვადევნებდით ერთხელვე მიღებულ და დამტკიცებულ საგამომცემლო გეგმის განხორციელებას. ამიტომ მოხდა ის, რომ ბევრი ცნობილი საბავშვო მწერლის წიგნი დღემდე გამოუცემელი დარჩა, ხოლო გამოიცა ბევრი რამ ისეთი, რაც გეგმაში არ ყოფილა შეტანილი და არც საჭირო იყო გამოცემულიყო.

მაგრამ რაც წინად, ომამდე, მოსათმენი იყო, ახლა ამ სამამულო ომის დღეებში არ შეიძლება მოვითმინოთ და შევეწყნაროთ. საბავშვო გამომცემლობასაც მართებს ომის ყაიდაზე გარდაქმნას თავისი მუშაობა და პირველ რიგში გამოსცეს ისეთი ლიტერატურა, სადაც მოზარდი თაობა ამოიკითხავს პასუხს სამამულო ომის მიერ აღძრულ ამაღლევებელ საკითხებზე, გამოსცეს წიგნები, რომლებიც ახალ საფეხურზე აიყვანენ ჩვენი ნორჩი თაობის პატრიოტულ შეგნებას, რომელნიც აღზრდიან და გააღვივებენ მასში ჭეშმარიტი პატრიოტის კეთილშობილ გრძნობებს.

უთუოდ მისალები და მისასალმებელია განსახკომის გადაწყვეტილება — შეივსოს უკანასკნელად საბავშვო ლიტერატურის დარგში წარმოშობილი ხარვეზი და მიმდინარე წლის ყოველ კვარტალში ბავშვებისათვის გამოიცეს კრებული-ალმანახები სამამულო ომის თემატიკაზე დაწერილ ნაწარმოებებისა. მაგრამ ისეთი სახელდახელო და ნაუცბადევი მუშაობით, როგორიც პირველი კრებულის გამოცემის მოსამზადებლად მიმდინარეობდა, ჩვენ მაღალხარისხოვან მხატვრულ პროდუქციას ვერ მივიღებთ. აუცილებელია ამ კრებულებისათვის დანიშნული მხატვრული ნაწარმოებების შექმნა დაეკისროს მთელს ჩვენს შემოქმედებითს აქტივს. საჭიროა წინასწარ განისაზღვროს და გამოირკვეს თემატიკა ყოველი კრებულისა, წინასწარ დამუშავდეს ეს თემები და მის მხატვრულ განხორციელებაში მონაწილეობა მივაღებინოთ ყველა ჩვენ ცნობილ მწერალს, ამ საქმის თაოსნად უნდა გამოვიდეს მწერალთა კავშირის საბავშვო სექცია, მან უნდა აკისროს მწერლებისათვის საბავშვო ნაწერების შეკვეთა, მათი განხილვა და შერჩევა კრებულებში მოსათავსებლად, თუ ცალკე გამოსაცემად. გამომცემლობამ უნდა მიიღოს უკვე სავსებით დამუშავებული და მოწონებული პროდუქცია. საბლიტგამი უმთავრესად უნდა სცემდეს ორიგინალურ, ქართულ მასალაზე შექმნილ საბავშვო ნაწარმოებებს, ამავე დროს ათარგმნინებდეს სამამულო ომზე დაწერილ საუკეთესო წიგნებს მოძმე ხალხების ლიტერატურიდან. მაგრამ ამ თარგმნის საქმეშიც ჩაბმული უნდა იქმნენ არა შემთხვევითი პირები, არამედ მხატვრულ თარგმანში დაოსტატებული მწერლები.

საფუძვლიანად უნდა გადახალისდეს საბლიტგამის სარედაქციო მუშაობაც. საჭიროა სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ არა მარტო პედაგოგები, არამედ მწერლები და მხატვრებიც, რომლებიც იზრუნებენ საბავშვო წიგნის იდეურ მხატვრული ხარისხისა და გარეგნული გაფორმებისათვის. მხოლოდ ამ ძალების მჭიდრო და სისტემატური თანამშრომლობით შეიძლება უზრუნველვყოთ ისეთი საბავშვო წიგნების გამოცემა, რომლებიც დააკმაყოფილებს ჩვენი მოზარდი თაობის ღრმა ინტერესს, უპასუხებენ მისი პატრიოტული აღზრდის ამოცანას და რომლებიც ნამდვილად ჩააყენებენ საბავშვო მწერლობასა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობას დიადი სამამულო ომის სამსახურში.

◆◆◆

ჩემი ლექსები

იყო ცხოვრება მშვიდი, ნარნარი,
დღეებს ანთებდა მზის ნაკვესებით,
სურნელს აფრქვევდა ირგვლივ ბაღნარი
ლაღად მღეროდნენ ჩემი ლექსებიც.

ყველგან ისმოდა მათი ჟღურტული,
აღარ ჩიოდნენ კვნესით, მუდარით,
აღარ დევნიდნენ ქვით და შურდულით,
ჰქონდათ სახლკარი და საბუდარი.

ჰქონდათ ცხოვრება უანგარებო,
სულით მშვიდობას გრძნობდა პოეტიც,
მათთვის მშობლიურ ქვეყნის გარემო
იყო ზაფხული და ინდოეთიც.

ახლა ბრძოლის ველს დასტრიალებენ,
ქროლვით უვლიან ცეცხლის კამარას,
შურდულებივით დასრიალებენ
და წკრიალებენ ფრთების ამარა.

ხან შეხვდებიან ქართველ მეომართ,
ჰსურთ—მზის შუქივით ჩასწვდნენ უბეში,
რომ შთაუბერონ გულში მხნეობა,
უთხრან მშობლიურ ქვეყნის ნუგეში.

ხან გაარღვევენ კვამლის მაღაროს,
კალმის ნისკარტით მოაქვთ ამბავი,
რომ ვაჟკაცების დედებს ახარონ
ბრძოლის ფურცელი დაუსტამბავი.

როცა გაივლის ომის ხანძარი,
განიკურნება მთელი ხმელეთი,
გადაეშვება ზღვაში ზანზარით
მზით დალახვრული ქვეყნის ბნელეთი.

ისევ სათნო და საალერსებო
მოვა ცხოვრება ფრინველთ გუნდებით,
თქვენც დაბრუნდებით, ჩემო ლექსებო,
და საამურად აღუღუნდებით.

ალიო მაშაშვილი.

წითელარმიელ გიორგი დევიძის წერილები ფრონტიდან

I. როგორ ვიშოვნე ენა

პირველი საბრძოლო ნათლობა მუდამ დაუვიწყარი იყო და იქნება მებრძოლისათვის და მეც აქედან მინდა დავიწყო ჩემი თავგადასავალი.

ერთხელ—მაშინ ახალი კაცი ვიყავ ფრონტზე—ასეულში გამგზავნეს წერილებისა და გაზეთების მოსატანად. წინდები გამოვიცვალე, თოფი გავსინჯე და წასვლა დავაპირე, რომ მიწურში პოლიტხელი ჩანადირი ჩამოვიდა,— მაღალი, ბეჭებში ლაღად გაშლილი ვაჟკაცი... დათოვილი ქურქი დაიბერტყა და ცეცხლიპირას, თივაზე გაფენილ ნაბადზე წამოწვა.

— კარგი იქნებოდა, აქ ღამით ერთი ენა გვეშოვნა როგორმე!—ჩაულაპარაკა ჩანადირმა რუქაზე დაცახრილ ლეიტენანტს.

— უნდა ვიშოვნოთ,—დაეთანხმა ლეიტენანტი და კედლისაკენ გაიჩოჩა, რომ დაღლილ პოლიტხელისათვის მეტი ადგილი დაეთმო ნაბადზე:—დაღამდება თუ-არა, სამი მარჯვე მებრძოლი შევარჩიოთ და გავგზავნოთ! —

სმენამ თუ მიღალატა-მეთქი, გავიფიქრე ერთი გაფიქრება, მაგრამ სმენა ისეთი მქონდა, ცაში ჩიტის ფრენა მესმოდა და წყალში თევზის ცურვა. არადა—გავშტერდი კაცი! ერთი ენის შოვნას სამი მებრძოლი რა ეშმაკად უნდოდა... ისიც როგორი სამი! ყველა მარჯვე და შერჩეული.

საველე სამზარეულოში ენების მეტი რა იყო! შუადღისას თვალი შევასწარ, როგორ გადმოტვირთეს მანქანიდან ხორცი, ძეხვი, შაშხი და მთელი გოდორი ენა, ძროხის ხორკლიანი, ნაცრისფერი ენა, თავისთავად პირში რომ ჩავადნება ცივად მოხარშული და წიწაკა-მოყრილი...

პოლიტხელმა უთუოდ არ იცოდა, რომ მისი საყვარელი კერძი თავსაყრელად იყო ჩვენსავე სამზარეულოში. გადავწყვიტე, ფოსტის მიღების შემდეგ პოლიტხელის ნატვრა შემესრულებინა: სამზარეულოში გამევლო და ერთი ენა მეშოვნა.

თოვდა.

გაყინულ აზოვიდან ყოდლად უნამუსო ქარი უბერავდა. ფიფქებს კი-არა, ეკალს მაყრიდა თითქოს, ისე ამიწვა პირისახე. თბილი ქუდი მაგრად ჩამოვიფხატე და გზას გავუდექი.

მივდიოდი, მაგრამ ერთი გარემოება ძლიერ მაფიქრებდა: გასულ კვირას, ფრონტზე გამგზავრების წინადღეს, უსიამოვნება შემხვდა მთავარ მზარეულთან. გზაში რომელიღაც მებრძოლმა ლექსი გამოუთქვა მზარეულს. ლექსი სწრაფად გავრცელდა ასეულში და როდესაც მზარეული სადილის დარიგებას შეუდგებოდა, რიგში მომლოდინე მებრძოლები უზაკველად ღიღინებდნენ:

„ფრონტზე ჩვენი ნიკიფორე მზარეული
გასუქდება, როგორც ტახი გარეული“.

ლექსში საწყენი არაფერი იყო და ერთხელ მეც შემოვძახე კრიმანჭული, მაგრამ რაღაც ფარსაგად ერთი სიტყვა შემეშალა, „ტახი“-ს მაგივრად „ღორი“ წამომცდა.

ეწყინა და როგორ ეწყინა ნიკიფორეს! არავითარი ფიცი და მტკიცი არ გამივიდა; დაიჩემა, განგებ გადამისხვაფერე ლექსიო, და ისე გადმომხედა,—მიწასთან გამასწორა.

ამიტომ ახლა წინასწარ ვზომავდი, რა და როგორ მეთქვა, რომ მისი გული მომელბო და ხელცარიელი არ დავბრუნებულიყავი მიწურში.

ფოსტა მივიღე და სამზარეულოს მივადექი დაიმედებული, მაგრამ მზარეული მეტად გულღრძო კაცი აღმოჩნდა, ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა: „ენას კი-არა, ენის ნახარშსაც არ მოგცემო!“—მომახალა და კოვზი გულმოსულად ჩაჰკრა ქვაბში.

მაინც არ მოვეშვი.

— მეც გამოგადგები სადმე! ერთი ენისათვის ნუ გამაწბილებ, ნიკიფორე!—დავეღრიჯე და მაგიდაზე დაწყობილ ენებს გადავხედე.

მზარეულმა ჩაიცინა:

— ბიჭო, მეორე ენას კი-არა, ჩემი ნება რომ იყოს, მაგასაც ძირში მიგაჭრიდი და მოვისვენებდი კაცი! —

— არ გეხუმრები, ნიკიფორე!

— წუწკობა დაიწყე?! —

— არა, შე კაცო, ჩემთვის როდი მინდა! პოლიტხელს მოენატრა და შენთან გამომგზავნა, იქნებ ჰქონდესო!

— რაო, ვინ გამომგზავნაო!—იყვირა მზარეულმა და ალმაცერად გადმომხედა:—როდის იყო, ბიჭო, პოლიტხელი კერძის მოსატანად მებრძოლს არბენინებდა ასეთ ყინვაში! ყბედობა მოიშალე, თორემ,—ენამ რა მიყო და თავში კაკუნიო,—ისე არ დაგემართოს!

რა მეთქმოდა!

ტყუილში რომ არ დავეჭირე, კიდევ ჰო,—რამეს მოიფიქრებდა კაცი, მაგრამ ახლა ჩემი ღვთის წყალობა ღვთის რისხვად მოეჩვენებოდა მზარეულს...

ამიტომ სული გავტრუნე და იღბალს მივენდე.

მზარეული კმაყოფილი იყო, რომ სამაგიერო გადამიხადა. კმაყოფილება-კი, როგორც მოგეხსენებათ, სიფრთხილეს უკარგავს კაციშვილს, და ნიკიფორეც ისე უდარდელად ფუსფუსებდა სამზარეულოში რომ მაგიდასთან შეუმჩნევლად მივჩოჩდი და ერთი მოზრდილი ენა ჯიბისაკენ გავაქანე.

— კარგი, ნიკიფორე, აგრე იყოს! ერთხელ მღვდელსაც შეეშლება მამაო-ჩვენო, მაგრამ მაგისათვის როდი ჩამოახრჩობენ!—განგებ თავი მოვისაწყლე და საჩქაროდ გამოვეთხოვე.

ქარბუქი ჩამდგარიყო.

ძალზე ბნელოდა.

უმტყუნო გეში მქონდა, მაგრამ გაუკვალავ თოვლში ანდეზედ სიარული მაინც გამიჭირდა.

ერთი შემცდარი ნაბიჯი და—ძვალი და რბილი ცალცალკე უნდა მეძებნა ბომბებისაგან ამოთხრილ ღარტაფებში.

ამიტომ ცოტახანს შევიცადე და როდესაც დაფლეთილ ღრუბლებში ყინვის მთვარე გამოცურდა, ტანკების საიმედო ნაკვალევს დავუწყე ძებნა.

უეცრად თოვლის ნელი ხრაშუნი მომესმა.

მოვბრუნდი და შუბლი კინაღამ შევახეთქე ნიღაბ-ხალათში შეფუთვნილ უცნობს.

პირისახე არ უჩანდა, მხოლოდ ორთქლი გამოდიოდა ოდნავ გადაკეცილ თავსაბურველიდან.

— ამხანაგო, ჩატირდაგში საიდან გადავალთ აქედან?—ჩაიხლიჩინა და ნელა დაუსტვინა.

თითქოს მიწიდან ამოძვრენო, სამი კაცი კიდევ აღიმართა შორიახლო. ისინიც შენიღბულები იყვნენ. ეტყობა, დიდხანს იწვნენ თოვლზე; წამოდგნენ თუ-არა, ფეხების ბაკუნი დაიწყეს.

„ჩვენები დაზვერვაზე მიდიან!“—გავიფიქრე გულდამშვიდებულმა, რადგან ვიცოდი სოფელი ჩატირდაგი გერმანელთა დაცვის ფარგალში მდებარეობდა.

გამეხარდა მათი დანახვა. გაგონილი მქონდა, ჩვენი მზვერავები ისე გაბედულად, შეუფერხებლად გადადიოდნენ გერმანელთა ზურგში, თითქოს საკუთარ ალაგზე გადასულიყვნენ.

მათთვის ხელის შეწყობა ჩემი მოვალეობაც იყო და უდიდესი სიხარულიც.

— მომყევით,—მივუგე პირველ ხალათიანს და სწრაფად დავწინაურდი.

და მაშინვე უცაბედმა აზრმა ბეწვი ამიშალა ტანზე:

სად გაგონილა, მზვერავმა გზაკვალი არ იცოდეს! რაღა ისეთები შეარჩიეს, რომლებსაც მეგზური სჭირდებათ..

მალულად გადავხედე თანამგზავრებს... გულდანდობილნი მომყვებოდნენ მოყვარესავით, მაგრამ ერთხელ აღძრულმა ეჭვმა მოსვენება წამართვა და მათი შემოწმება მომთხოვა. მხოლოდ როგორ, როგორ! ტვინი გამიბურღა ფიქრმა, მაინც ვერაფერი მოვისაზრე.

ეჭვებს ბევრი თვალი ჰქონდა.

იქნებ ჩვენები იყვნენ! მაშინ უადგილო სიფრთხილე და განგაში საქმესაც ავნებდა და მეც ქვეყნის სასაცილოდ გამხდიდა.

თუ სამტროდ იყვნენ მოსულნი, მათი შემოწმება ისე უნდა დამეწყო რომ არცერთს ეჭვი არ მიეტანა—ისინი მხარდამხარ მომდევდნენ და ხელის განძრევას ვერ მოვასწრებდი, კატის კნუტივით მომახრჩობდნენ.

გული საგულეში აღარ მეტეოდა. როგორ გამეგო მათი ასავალ-დასავალი!

განვიზრახე, საუბარი გამება უხმოდ მომავალ თანამგზავრებთან, გამოსაცდელად რაიმეს შევეკითხებოდი, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე: წინასწარ ვიცოდი, პასუხსაც არ გამცემდნენ,—არც უნდა გამკვირვებოდა, რადგან ენადაუბმელ სულელს მზვერავად არავინ გაგზავნიდა.

უეცრად სიხარულისაგან კინაღამ შევყვირე.

გამახსენდა, რომ ხელმარჯვნივ, პატარა ბორცვის გადაღმა დანაღმული უბანი იყო. მაშინვე ბორცვისაკენ გავტრიალდი.

„ისე შეგამოწმებთ,—გინდა თქვენს გულში ჩამეხედოს!“—გავიფიქრე და მთელი გულისყური მოვიკრიბე, რომ მღელვარება დამეფარა. თანაც ერთიორჯერ ჩავახველე და როდესაც ხმაში სიმტკიცე ვიგრძენი, ხელი დანაღმულ უბნისაკენ გავიშვირე და თანამგზავრებს მივმართე:

— ახლა უნდა დაგშორდეთ; თქვენ, ასე პირდაპირ იარეთ და მალე გადახვალთ ხაზზე!

— გმადლობთ, ამხანაგო!—კვლავ მომესმა ხლიჩინა ხმა და ხალათიანები სწრაფად დამცილდნენ.

მეც ჩემს გზას დავადექი—და როცა ისინი საკმაოდ დამშორდნენ, თოვლში ჩავიმუხლე და თვალყურის დევნება დავიწყე.

ჩემი ანგარიში მეტად უბრალო იყო: ჩვენს მზვერავს დანაღმული უბნის ადგილ-მდებარეობა უეჭველად უნდა სცოდნოდა. აკრძალულ მიჯნას მიადგებოდა და მარცხნივ გაუხვევდა, გერმანელთა სანგრებისაკენ.

ვინც არ გაუხვევდა, იგი მტერი იყო და ბარი ვერ აფხეკდა, ისე გაუხდებოდა საქმე.

ხალათიანები დაწალიკებით მილასლასებდნენ მუხლამდე თოვლში. ისინი უკვე სახიფათო მიჯნას უახლოვდებოდნენ...

ეხლა უნდა გაუხვიონ... თუ ჩვენები არიან, ეხლა უნდა გაუხვიონ!—გაფიქრება ვერ მოვასწარი, რომ ნაღმი აფეთქდა...

„ესეც თქვენ, ძაღლებო!“—შევძახე და ცეცხლის ალივით წამოვხტი.

კვამლი და თოვლი რომ გაიფანტა, დავინახე, ორი ხალათიანი თავქუდმოგლეჯილი უკანვე გამორბოდა: ნაღმზე მხოლოდ ორნი აფეთქებულიყვნენ.

თოფი გადმოვიღე, ერთი იქვე დავაგორე და მეორეს გამოვენთე, რომ ცოცხლად ჩამეგდო ხელში.

შემნიშნა, ზეზეურად რამდენჯერმე მესროლა და დაღმართზე დაეშვა. დამიზნების თავი აღარ ჰქონდა, ისე დამფრთხალი გარბოდა. მოყინულ თოვლზე ფეხი უსხლტებოდა, ნიღაბ-ხალათი სირბილს უშლიდა.

ორმო და ღარტაფი ნაკლებად იყო ამ ადგილას და მეც გავბედე,—მოვიხარე და ციცაბო დაღმართზე ისე დავცურდი, როგორც გამოჯაგული მეთხილამურე.

ანგარიში გამიმართლდა: პირდაპირ ფეხებში მივაწყდი გაქცეულს და კუნძივით დავაგდე მიწაზე.

ერთხანს ორივენი თოვლში ვფართხალებდით ღვლეჭვით დაგრეხილნი და გადახლართულნი. თავში, ზურგზე, წელზე—სადაც მოხვდებოდა, ცარიელი პარაბელუმის კოტას მირტყამდა, — იკბინებოდა, იკაწრებოდა და ერთხელ ხელი ისეთ ადგილას წამატანა, სადაც ვაჟკაცს არაფერი ესაქმებოდა... მაშინ-კი გავბრაზდი და უკვე გადავწყვიტე რომ სიკვდილის გარდა, ვერაფერი გაგვაშველებდა.

მაინც მოვახერხე თავის შეკავება,— არ მოვკალი, ძლიერ მინდოდა ცოცხლად მიმეყვანა ნაწილში...

როგორც იყო, ხელი გავაშვებინე და კარგად მორგებულ კურტანივით ზურგზე მოვაჯექი.

— კაპუტ, ფრიცო, კაპუტ!—ჩავძახე და საფეთქელში „მკვდარი“ მუშტი შემოვკარი, გავაბურბუსალე.

ცოტა შევისვენე, ჯიბეში დაფანტული გაზეთები ავკრიფე, მერე ფრიცი მოვასულიერე, ხიშტი ბეჭებს შუა მივაბჯინე და ვუთხარი:

— წავიდეთ... მე თვითონ გაგაცილებთ, მეშინია, კიდევ არ დაგებნეთ გზა!

.....შუაღამე იქნებოდა, როდესაც ჩემი „ფრიცი“ მიწურში მივიყვანე და პოლიტხელთან გამოვცხადდი.

— ბიჭოს, დევიძეს უკვე უშოვნია ენა!—შესძახა გახარებულმა ჩანადირმა.

პირჯვარი კინაღამ გადვიწერე... კაცი და ასეთი გულთმისანი!? საიდან მიხვდა, რომ ჯიბეში ძროხის ენა მედო!

— ცოტა დამესრისა, იმდენი მეჭიდავა ამ ვირისთავმა!—წავიპურტყუნე და ჩემი პირველი ნადავლი ჯიბიდან ამოვიღე.

— ეგ რა არის! მკითხა უზომოდ გაოცებულმა პოლიტხელმა.

— თქვენ რომ ინატრეთ ამ საღამოს...

— რა ვინატრე, კაცო! სიზმარში ხომ არა ხარ!—მოუთმენლად შემაწყვეტინა და ისე მომაჩერდა, თითქოს ეჭვი ეპარებოდა, სრულ ჭკუაზე ვიყავი თუ-არა.

— ძროხის ენა, ამხანაგო პოლიტხელო, ცივად მოხარშული... სამზარეულოში გამოვიარე და...

აღარ დავამთავრე, — პოლიტხელს გულიანად გაეცინა და ბეჭზე ხელი დამკრა:

— მე ასეთი ენა მენატრებოდა, ამხანაგო დევიძე, ასეთი! — მითხრა და კუთხეში ბერივით დაყუდებულ „ფრიცზე“ მანიშნა:—ამასაც „ენას“ ვეძახით, რადგან ბევრი რამ შეუძლია გვითხრას ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე!

მივხვდი ჩემს შეცდომას; კიდევ კარგი,—გზაში ამ „ფრიცებს“ გადავეყარე! სირცხვილისაგან თავი სად უნდა გამომეყო, მხოლოდ ძროხის ენა რომ მიმეტანა პოლიტხელისათვის!

დავჯექი და თავიდან ბოლომდე ჩავუკვნესე ჩემი ამღამინდელი თავგადასავალი.

ისევ გაეცინა და მითხრა:

— პირველი ენისათვის სასჯელს დაგადებ, ამხანაგო დევიძე! მეორესათვის—მადლობას გიცხადებ! სარდლობას მოვახსენებ, რომ ჭკვიანურად და ვაჟკაცურად მოქმედებდი!

მერე წითელარმიელი გამოიძახა და ტყვე ფაშისტი შტაბში წაიყვანა.

★

ისინი—ოთხივე—გერმანელი მფრინავები აღმოჩნდნენ.

თურმე საღამოხანს დაზიანებულ ბომბდამშენიდან პარაშუტით გადმოხტნენ ჩვენი პოლკის ზურგში. გაპარვას ცდილობდნენ, მაგრამ ჩემმა ბედმა და მათმა უბედობამ ერთმანეთს შეგვახვედრა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ალექსანდრე კერესელიძე

ყირიმში, სადაც გაშლილი,
მრისხანე ბრძოლის ველი ძევს,
გაჰყავდა ერთი დაჭრილი
სანიტარ კერესელიძეს.

მან გმირთან ძმობა იცოდა,
ვით ერთი მშობლის შვილობა.
გაჰყავდა, მკერდზე ეწვოდა
დაჭრილ მეგობრის ჰრილობა.

მტერს არ დაუგდო სათრევად,
არ მიატოვა მხეცებთან,
გაჰყავდა, მკერდშესახვევად
სადმე შესაფარს ეძებდა.

ახლოს კლდე სჩანდა ზღვისფერად,
ქვემოთ ხრეში და ქვიშანი,
კაცი გადმოდგა კლდისპირას,
მიიხმო, მოსცა ნიშანი.

დაღლილი, სულგანაბული
კლდისპირს მიადგა მკურნალი;
მცირე რამ გამოქვაბული
დახვდა ნასაუკუნარი.

შორს ბრძოლა ისევ ჩაღდება,
ისმის ჭიხვინი ცხენების;
შევიდა, ფიქრობს, დახვდება
გამოქვაბულში ჩვენები.

მაგრამ უეცრად იელვა,
გახდა მხეცების ძახილი
და ოთხმა გადამთიელმა
ოთხი ამართა მახვილი.

ნუ თუ მტრებშია მოსული,
ნუ თუ შეცდა და ტყვედ არის?
ხედავს დგას გარემოცული
ათი საბჭოთა მხედარიც.

— ვაჰ, ჩვენს გაჩენას, მხედრებო!
თუ ეს სიკვდილი გველოდა,
წყევლა, შერცხვენა, ყვედრება
ყურს ესმის საქართველოდან.

— მტრისგან ცოცხალი ვინ წავა? —
სთქვა და მებრძოლებს დახედა,
— დაგვხვრეტენ, მაგრამ, ვფიცავარ,
ჩვენთვის ცოტაა დახვრეტა.

ჩვენ უნდა ღაზლი გვეგრიხა,
ვინ მოგვცა მხედრის ხალათი!..
მდევის შვილებო, ათნი ხართ,
ოთხი გვადგია ჯალათი.

თუ მტერს არ ვუზღავთ ღირსეულს,
ქვეყნისგან შევიგინებით,
ხმალი არა გვაქვს? მტრის სხეულს
ეყოფა ჩვენი კბილებიც“.

ერთ-ურთს გაჰხედეს ვაჟებმა,
თვალით შეთანხმდნენ მოყვრები:
— ვინა სთქვა ჩვენი ლაჩრობა!
მზად ვართ, დაიწყე, მოგყვებით!

გადახტა კერესელიძე.
ფეხმარდი ვეფხი უცხო რამ,
— მომყევით, მდევის შვილებო! —
და ჯალათს ყელში უსწორა.

მოაჭდო მკლავი მარჯუქი,
როგორც სურო და ხვიარი,
გაისმა გამოქვაბულში
თხუთმეტი ხენეშა-ხრიალი.

გარედ კვლავ ცეცხლის გამჩენი
მრისხანე ბრძოლის ველი ძევს
და კლდეში, შიშველ მარჯვენით
მტერს ებრძვის კერესელიძე.

თერთმეტი გმირის მარჯუქი
მტრებს მოხვევია ხვიარი,
გუგუნებს გამოქვაბულში
თხუთმეტი ხვნეშა-ხრიალი.

და როცა ქვეყნად ზედმეტი
ოთხი დაგუდეს ქვა-გული,
ყირიმის გმირმა თერთმეტმა
დასტოვა გამოქვაბული.

ყირიმი, 3/III.

ირაკლი აბაშიძე.

„რომეო და ჯულიეტა“ მოზარდი მაყურებლის თეატრში

მსოფლიო ისტორიის ბევრი პერიოდი როდი არის ისე მახლობელი საბჭოთა ეპოქისათვის, როგორც ეპოქა აღორძინებისა, რომელმაც დაამკვიდრა ადამიანის პიროვნება მთელი თავისი აზრისა და გრძნობის სისრულით, ეპოქა ჰუმანისტური მსოფლ-შეგრძნობისა და ცხოვრების შემოქმედებისა.

აი რატომაა, რომ საბჭოთა თეატრი ესოდენი ხალისით მიმართავს იმ დიდ დრამატურგებს, რომლებმაც ყველაზე უფრო მკვეთრად გამოხატეს ამ ეპოქის იდეები — შექსპირს და ლოპე დე ვეგას. აი რატომ იქცევა ამ დრამატურგების პიესების ყოველი კარგი დადგმა ერთგვარ თეატრალურ მოვლენად. მით უფრო უნდა ჩაითვალოს ასეთ დიდ მოვლენად „რომეო და ჯულიეტას“ დადგმა ახალგაზრდა მაყურებლის ქართულ თეატრში, რადგან მან პირველად საკავშირო ახალგაზრდა თეატრებს შორის იკისრა შექსპირის ამ უკვდავი ტრაგედიის სცენიური განსახიერება.

როცა კ. ს. სტანისლავსკის ჰკითხეს, „როგორ უნდა ვითამაშოთ ბავშვებისათვის“-ო, მან უპასუხა — „ისევე, როგორც დიდებისათვის, მხოლოდ უფრო ფაქიზად“. სწორედ ამ სიფაქიზით და უბიწოებით, ამასთან პასუხისმგებლობის შეგნებით არის გამსჭვალული ახალგაზრდა მაყურებლის ქართული თეატრის ეს სპექტაკლი. სწორედ ამ უბიწოების გამო შექსპირის ტრაგედია, სადაც არის ისეთი ადგილები, რომელთაც მოზარდში შეუძლიანთ აღძრან არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობა, იწვევს უფროსი ასაკის ბავშვებში მხოლოდ იმ მაღალ გრძნობებს, რომლებიც შეეფერებიან ამ გენიალური ნაწარმოების ხასიათს. მაგრამ, რასაკვირველია, მარტო მოწაფეები როდი ავსებენ დარბაზს „რომეო და ჯულიეტას“ წარმოდგენის დროს. ამ თეატრის უკვე მრავალი დადგმა, მათ შორის, „სურამის ციხე“, „პატარა კახი“ და სხვა, უდაოდ შეიცავდა ინტერესს მოზრდილი მაყურებლისათვის. მით უფრო ითქმის ეს შექსპირის ნაწარმოებზე.

მსოფლიო ლიტერატურის მრავალი ნაწარმოების სიუჟეტის მიხედვით, მგზნებარე სიყვარულით შეპყრობილი გმირი ვაჟი და გმირი ქალი იღუპებიან იმის გამო, რომ შეუძლებელი გამხდარა კუთვნებოდნენ ისინი ერთმანეთს. ასეთია ქართული „ეთერიანი“, ასეთია შუა საუკუნეების დასავლეთ-ევროპული ამბავი ტრისტანისა და იზოლდასი და სხვა. ამ სიუჟეტებიდან ვერონელ შეყვარებულთა ისტორია, შექსპირის მიერ დამუშავებული, ყველაზე ნაკლებად ატარებს ლეგენდალურ ხასიათს. ამ გმირების ბედ-იღბალი ყველაზე მეტად არის დაკავშირებული გარემოცვასთან. რომეოს და ჯულიეტას დაღუპვა წინასწარ არის განზრახული მათ ოჯახს შორის არსებული სასტიკი შუღლით და მხოლოდ ტრაგიკულ სიკვდილს ამ ორი მშვენიერი ახალგაზრდა არსებისას, რომლებიც ბოლომდე ერთმანეთის ერთგულნი რჩებიან, მოაქვთ მათი ოჯახების შერიგება. მაგრამ ჩვენი მაყურებლის ინტერესი ტრაგედიისადმი მდგომარეობს არა მონტეკისა და კაპულეტის მოდგმათა მტრობაში, რომელსაც ესოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ შექსპირის თანამედროვენი, — ჩვენ გვაღელვებენ გმირთა სახეები, მათი უსაზღვრო და კეთილშობილური ვნება, მათი ბრძოლა ბედნიერებისათვის. და თეატრიც სავსებით მართებულად უსვამს ხაზს და ამახვილებს არა რომეოსა და ჯულიეტას დაღუპვას, არამედ მათ მაღალ გრძნობებს და მათ მისწრაფებას ამ გრძნობათა დამკვიდრებისაკენ. ასე ჩნდება სპექტაკლში ნათელი და მებრძოლი ოპტიმიზმის შეგრძნობა, რომელიც განსაზღვრავს მთელ მის ემოციურ ტონს. აქედანაა ჩინებულად დადგმული საკარნავალო პანტომიმა, რომლითაც სპექტაკლი იხსნება, და აპოთეოზი, შესანიშნავად გამონახული რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. თაყაიშვილის მიერ ტრაგედიის დასკვნით რეპრიკებში: რომეო და ჯულიეტა კვარცხლბეკზე დგანან. ეს არის ძეგლი, რომელსაც შეიძლება წაეწეროს „სიყვარული სიკვდილზე ძლიერია“. თავათ შექსპირსაც არ უნდა შეიტანოს თავის ტრაგედიებში განწირულების შეგრძნობა. ეს გამოსჭვივის თუნდაც იქიდან, რომ მის ტრაგედიებში შიგა და შიგ გაბნეულია კომედიური სცენები. და მიუხედავად იმისა, რომ ა. თაყაიშვილმა გამოსტოვა ზოგიერთი ასეთი სცენა, სპექტაკლი მთლიანად გაჟღენთილია სიცოცხლის განმამტკიცებელი პათოსით. დამდგმელმა ამავე მიზანს მიაღწია შექსპირის დროინდელი თეატრისათვის უცნობი სხვა ხერხებით, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სპექტაკლის ერთიან მიზანდასახულობას.

„რომეო და ჯულიეტა“ შექსპირის სხვა ტრაგედიებისაგან, მაგალითად, „მაკბეტისა“, „ჰამლეტისა“, „მეფე ლირისა“ და „კორიოლანისაგან“, განირჩევა უფრო შერბილებული ემოციური კოლორიტით. ამ გარემოებამ თეატრს შესაძლებლობა მისცა შეენელებინა ტრაგედიის მწუხარე ტონი, ორგანიულად გაეერთიანებინა დადგმაში ეპოქის მკაცრი ზნე-ჩვეულებით ნაკარნახევი ვაჟკაცობის სული და სიუჟეტიდან გამომდინარე ლირიზმი და ამით მთელი დადგმისათვის მიეცა გარდასულ დროთა პოეტურ მოგონებათა ხასიათი. ამ ხასიათს შეესაბამება მხატვარ მ. ყაზბეგის მიერ შესანიშნავად შესრულებული დეკორაციები, რომლებიც თითქოს აღადგენენ ძველის-ძველ პეიზაჟებს მსუბუქი კონტურებით და ნაზი ტონით. ასეთივეა ო. ბარამიშვილის გულში ჩამწვდენი მუსიკა, რომელიც ერთმანეთს უთავსებს ძველებური იტალიური მუსიკის მელოდიკას ჩვენი დროის კომპოზიტორის მანერას და რომელიც გვაღელვებს თავისი დარამატიზმით.

ჩვენ იშვიათად ვხედავთ სპექტაკლს, რომელშიაც მიღწეული იყოს ესოდენად სრული მხატვრული ერთიანობა და ესეთი ზუსტი შეხმატკბილება ყველა ელემენტებისა. მხატვრის მომწიფებული ოსტატობით გამოირჩევა ა. თაყაიშვილის მთელი ნამუშევარი ამ სპექტაკლში. მას ახასიათებს მხატვრული აზროვნების სინათლე, შესანიშნავი პლასტიურობა თეატრის გამოსახვით საშუალებათა გამოყენებაში, კერძოდ, მიზანსცენების განლაგებაში, და ღრმად მოფიქრებული სახეები.

სახეების ამ მოფიქრებულმა გახსნამ თავი იჩინა აქტიორთა შესრულებაში. თუ ზოგიერთი აქტიორი ვერ აღმოჩნდა შექსპირის ტრაგედიებისადმი წაყენებული მოთხოვნის სიმაღლეზე, ყოველ შემთხვევაში მთავარი როლების შემსრულებლებმა ბევრ რამეს მიაღწიეს. საიდუმლოება არ არის, რომ ამ თეატრის ზოგიერთი წამყვანი მსახიობი „რომეო და ჯულიეტას“ წარმოდგენაში გამოვიდა ისე, რომ თავისი შემოქმედებითი წარმატების საერთო ჯამში ბავშვების როლების გარდა ნათამაშები არაფერი ჰქონია. ერთი შეხედვით, შექსპირის გმირთა განსახიერებისათვის თითქოს ამ არასაკმაო გამოცდილებამ ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლო ნაყოფი გამოიღო. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი დამსახურებულ მსახიობ ქალს თ. თვალიაშვილს, რომლის მიერ შესრულებული გოგონების როლებით არა ერთხელ ყოფილა მაყურებელი აღფრთოვანებული, მიეღწია ფრიად ფართო დიაპაზონისათვის ჯულიეტას გრძნობათა გადმოცემაში. სპექტაკლის დასაწყისში ჯულიეტა გულუბრყვილო და მიამიტი გოგონაა. მაგრამ აი იღვიძებს მასში სიყვარული, და თვალიაშვილიც შესანიშნავად ანსახიერებს თრთოლვის აღმძვრელ პირველ ვნებას და სიყვარულთან ერთად მთელი მომხიბვლელობით გვაგრძნობინებს ქალურ სინაზეს. ჯულიეტა იბრძვის თავისი ბედნიერებისათვის და ამ ბრძოლაში მტკიცდება მისი სულიერი ძალა. პიროვნების ზრდა, — ასეთია პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ჯულიეტა-თვალიაშვილში. ჯულიეტას თანატოლი და თანაბარია მგზნებარე რომეოც, რომელიც ვაჟკაცდება ჭეშმარიტი გრძნობის შემოქმედებით და ისეთივე სიმამაცით იბრძვის თავისი ბედნიერებისათვის, — რომეოს ამ თვისებებს კარგად გადმოგვცემს ვ. არეშიძე. ზედმეტი აღტყინება პირველ ორს სპექტაკლში შემდეგ წარმოდგენებში თანდათან შენელდა და უნდა ვიფიქროთ, რომ მალე მსახიობი მთლად დააღწევს თავს ამ ნაკლს. მახვილი, დამახასიათებელი სახე ძიძისა, რომელსაც მხურვალედ უყვარს თავისი აღზრდილი ჯულიეტა, სწორედ და უნაკლოდ წარმოგვიდგინა დამსახურებულმა მსახიობმა გ. კუპრაშვილმა. ამ მსახიობი ქალის დამსახურება მით უფრო აღსანიშნავია, რომ იგი არ აჰყვა ცდუნებას და საერთო ანსამბლში არ გააბატონა ეს სახე, რაც ხშირად ემართებოდა ძიძის როლის ზოგიერთ ცნობილ შემსრულებელს. ვაჟკაცობისა და ამავე დროს გულკეთილობის იერით მოსავს მსახიობი გ. დარისპანაშვილი ლორენცოს, რომელსაც იგი გვიჩვენებს გონებისა და დიდი გამოცდილების ადამიანად.

გვინდა აღვნიშნოთ სპექტაკლის სიმწყობრე. ეს მარტო ტექნიკური ხასიათის ღირსება როდია. თუმცა სპექტაკლში ოცი სურათია და დეკორაციები მუდმივ იცვლება, ინტერვალები სურათებს შორის ისე მოკლეა და ისე ოსტატურად არის შევსებული მუსიკით, რომელიც სცენიურ მოქმედებასთან ერთ მთლიანს შეადგენს, რომ მაყურებლის მიერ სპექტაკლის ათვისების განუწყვეტელობა ერთი წუთითაც არ ირღვევა. ამ მხრივ ზოგიერთ აკადემიურ თეატრს შეუძლიან მიბაძოს ახალგაზრდა მაყურებელთა ქართულ თეატრს. მიუხედავად ორკესტრის ძალიან მცირე შემადგენლობისა, კომპოზიტორმა და ორკესტრანტებმა კარგ ჟღერადობას მიაღწიეს.

მოზარდი მაყურებლის ქართულმა თეატრმა ბევრ სხვა თეატრებზე მეტი გააკეთა იმისათვის, რომ ხელი შეეწყო მაყურებლის აზრისა და გრძნობის დარაზმვისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან საბრძოლველად: ჯერ კიდევ სეზონის პირველ ნახევარში მან დასდგა სამი სპექტაკლი, რომლებიც უპასუხებენ ჩვენი ხელოვნების ამ პირველი რიგის ამოცანას. ამჟამად თეატრმა ბრწყინვალედ განახორციელა რა შექსპირის ტრაგედიის ძალიან ძნელი დადგმა, გვიჩვენა თავი ისეთ მომწიფებულ და მომზადებულ კოლექტივად, რომელსაც ადვილად შეუძლიან რთული მხატვრული პრობლემების გადაწყვეტა. ამ თეატრში „რომეო და ჯულიეტას“ დადგმის მნიშვნელობა სცილდება ერთი სეზონისა და ერთი ქალაქის ფარგლებს. უეჭველია, იგი გარკვეულ ადგილს დაიჭერს მთლიანად საბჭოთა თეატრის განვითარებაში.

ა. ფევრალსკი.

რუსთაველის სახ. თეატრის მორიგი პრემიერა

7—8 აპრილს რუსთაველის თეატრი უჩვენებს თავის მორიგ დადგმას ვ. სარდუს პიესას „ფლანდრია“ („სამშობლო“). პიესა თარგმნილია გერონტი ქიქოძის მიერ.

პიესას სდგამს ხელ. დამსახ. მოღვაწე შ. აღსაბაძე, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნ. დამს. მოღვ. ირ. გამრეკელს, მუსიკა—კომპოზ. რ. გაბიჩვაძეს.

პიესის ავტორი ვიქტორიენ სარდუ (1831—1908) მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ ფრანგ დრამატურგთა რიცხვს ეკუთვნის. მისი მრავალრიცხოვანი პიესებიდან ქართველი მაყურებლისათვის კარგად ცნობილია „სამშობლო“ (ფლანდრია“) და „მადამ სანჟენ“.

„სამშობლო“ ქართულ სცენაზე პირველად დაიდგა 1882 წელს, პიესა გადმოკეთებული იყო დავით ერისთავის მიერ. ამ პიესამ თავის დროზე დიდი როლი ითამაშა საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში. მთავრობის აგენტებმა სასტიკად გაილაშქრეს მის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, რომლებიც იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდნენ პიესას, საკადრისი პასუხი გასცეს მეფის ერთგულ რეაქციონერ მოხელეებს და დაიცვეს ქართველი ხალხის ეროვნული ღირსება და უფლებები.

რუსთაველის სახ. თეატრის დადგმაში სარდუს პიესა მიდის არა გადმოკეთებული სახით, არამედ ორიგინალის მიხედვით. საბჭოთა მაყურებელი პიესაში გაეცნობა იმ მედგარსა და თავგანწირულ ბრძოლას, რომელსაც მე-16 საუკუნეში ფლამანდიელი პატრიოტები ეწეოდნენ **სამშობლოს** გასანთავისუფლებლად ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მაყურებელი სავსებით მართებულად გაატარებს ანალოგიას პიესაში ასახულ ამბებსა და თანამედროვე ვითარებას შორის, როდესაც ევროპის მცირე ერები სისხლის მსმელ ფაშისტ-ბარბაროსების ქუსლ-ქვეშ გათელილნი, შეუპოვარ ბრძოლას განაგრძობენ გერმანელ-ოკუპანტების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის ხალხები, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, სპობენ და ანადგურებენ ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილ ფაშისტურ გერმანიის ურდოებს და შორს არ არის ის დროც, როდესაც გამარჯვებული ჩვენი ქვეყანა იზეიმებს მტარვალთა სრულ განადგურებას.

„ფლანდრიაში“ მთავარ როლებს ასრულებენ: რესპ. დამს. არტ. მ. ჩიხლაძე (გრაფი დე-რიზორი), რესპ. სახ. არტ. გ. დავითაშვილი (კარლო ვანდერნოტი), სსრკ სახ. არტ. აკ. ვასაძე (ჰერცოგი ალბა), ვ. დოლიძე (ლატრემუილ), რესპ. სახ. არტ. დ. მჟავია (ნუარკარმი), რესპ. დამს. არტ. გ. სარჩიმელიძე (დელრიო), ს. ჯაფარიძე (ვარგას), ბ. წულაძე (ფილიპე მეორე), ნ. ლაფაჩი (დონა დოლორეს), დამს. არტ. ნ. ალექსი-მესხიშვილი (დონა რაფაელი), თ. ბაქრაძე (სარა მატისონ), დამს. არტ. ემ. აფხაიძე (იონას) და სხვ.

„ჩვენი დროშა“

„ფედერაციამ“ გამოსცა ვასო გორგაძის ლექსების წიგნი „ჩვენი დროშა“. წიგნში დაბეჭდილია სამამულო ომის პერიოდში ავტორის მიერ დაწერილი თოთხმეტი ლექსი. ეს ლექსები ამ ხნის განმავლობაში სისტემატურად იბეჭდებოდა ჩვენს პერიოდულ გამოცემებში. წიგნი პატარა ფორმატისაა, შეიცავს 32 გვერდს და ღირს 3 მან.

არტემ ახნაზაროვი
1866—1942

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 მარტს გარდაიცვალა და პირველ აპრილს ვაკის სასაფლაოს მწერალთა პანთეონში დაკრძალულ იქნა არტემ ახნაზაროვი, მწერალი და გასული საუკუნის 80-90 იანი წლების ქართული პრესის ერთერთი თვალსაჩინო აქტიური მოღვაწე.


ა. ახნაზაროვი 900-იან წლებში.

O

არტემ ახნაზაროვი მრავალმხრივი და თავის დროზე დიდად ნაყოფიერი მწერალი იყო. მამა მისს — თბილისელ ქართველ ხელოსანს ხელმოკლეობამ საშუალება არ მისცა შვილი სკოლაში მიებარებინა, მაგრამ აქტიური ბუნების ახალგაზრდამ და ბავშვობიდანვე ინიციატივიანმა არტემ ახნაზაროვმა იმდენი მოახერხა, რომ იურიდიული განათლება მიიღო. 1885 წელს ოდესიდან დაბრუნებულმა 19 წლის ა. ახნაზაროვმა თანამშრომლობა დაიწყო ვასო აბაშიძის სახელოვნო-ლიტერატურულ გაზეთ „თეატრში“, სადაც მან მკითხველთა ყურადღება მიიქცია რეცენზიებით და კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული წერილებით, რომლებიც საქმის ცოდნით, სიყვარულით და ფაქიზი გემოვნებით იყვნენ დაწერილი. 1886 წლიდან ა. ახნაზაროვი ილია ჭავჭავაძის გაზეთის „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი გახდა. „ივერიის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა ა. ახნაზაროვის არა მარტო რეცენზიები, არამედ პატარა ფელეტონები, იუმორისტული ესკიზები, სატირული ლექსები, ნოველები, ნარკვევები და [illegible] „ივერიის“ [illegible] მკითხველებს დღესაც ცხოვლად ახსოვთ ა. ახნაზაროვის „განმქიქებლის თავგადასავალი“, რომელიც იშვიათი გონებამახვილობით აგვიწერს საზოგადოებრივი ნაკლოვანებების და მანკიერების მამხილებელი ჟურნალისტის ტრაგი-კომიკურ მდგომარეობას თავადაზნაურულ და ბიუროკრატიულ გარემოცვაში. დღესაც ინტერესით იკითხება ა. ახნაზაროვის ფელეტონების სერია „ბანკობიაზე“, სერია, რომელიც ამხელს თავადაზნაურობის მორალურ და გონებრივ უბადრუკობას. ფელეტონებში, რომელთა საერთო სათაურია „მგზავრის წერილები“, სხვათა შორის ნაჩვენებია თბილისის პლუტოკრატ-მოღვაწეთა უმოქმედობა და მცონარეობა. ა. ახნაზაროვის ფხიანი კალმის წვერზე წამოუგებელი არ დარჩა მეფის კოლონიზატორულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელნი და მათი ქართველი ქომაგები.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი ა. ახნაზაროვი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული სტილის ფელეტონის ერთ-ერთ შემქმნელად, რადგან მან ამ ჟანრს უთუოდ თავისებური ქართული კოლორიტი და სპეციფიური ქართული სიმძაფრე მისცა. ამავე დროს ა. ახნაზაროვი ქართული საესტრადო რეპერტუარის ერთი პიონერთაგანი იყო, რევოლუციამდე ფართო მასებში დიდი პოპულიარობით სარგებლობდა მისი საესტრადო სცენები „მონადირის მონოლოგი“ და „რა მასმევს ღვინოს“, საუკეთესონი ამ ჟანრის ნაწარმოებებიდან შეტანილია 1912 წელს გამოცემულ ა. ახნაზაროვის ნაწარმოებთა კრებულში.

განსვენებულს ემარჯვებოდა დრამატიულ ნაწარმოებთა გადმოქართულებაც. მის მიერ გადმოკეთებული ოპერეტა „ნატვრის თვალი“, რომელიც უკანასკნელად კ. მარჯანიშვილმა დასდგა რუსთაველის სახელობის თეატრში, გამოირჩევა მოსწრებული ფრთიანი გამოთქმებით და სიმახვილით. ღრმად მოხუცებულს და უსინათლოს არტემ ახნაზაროვს ბოლომდე არ დაუგდია კალამი ხელიდან, მის შემოქმედებით დაუცხრომლობას მოწმობს ის ფაქტი, რომ სიბერის წლებში მან სთარგმნა რამდენიმე ნიმუში რუსული კლასიკური ლიტერატურისა.

არტემ ახნაზაროვი დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც მწერალი, რომელმაც თავისი წარუშლელი კვალი გაავლო ქართული პერიოდიკის ისტორიაში.

შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, დავით სულიაშვილი, ილია აგლაძე, ილია ზურაბიშვილი.

ი. ნოვიკოვის საღამო მწერალთა კლუბში

თბილისის მწერალთა და მკითხველთა საზოგადოებრიობამ 28 მარტს გულთბილი შეხვედრა მოუწყო ამჟამად საქართველოში სტუმრად მყოფ რუს ორდენოსან მწერალს ივანე ნოვიკოვს, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი ბიოგრაფიული რომანი ა. პუშკინზე.

საღამო გახსნა ლეო ქიაჩელმა, რომელმაც მოკლედ დაახასიათა ი. ნოვიკოვი როგორც თანამედროვე რუსული მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ი. ნოვიკოვის ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე საფუძვლიანად დამუშავებული მოხსენება წაიკითხა რ. ქორქიამ. ცნობილმა მწერალმა ვ. ვერესაევმა ილაპარაკა ი. ნოვიკოვზე, როგორც მრავალფეროვან, მეტად თავისებური სტილის მწერალზე.

დასასრულ გამოვიდა თვით ი. ნოვიკოვი. პირველად მან გააცნო დამსწრეთ ერთი თავი თავის გამოუქვეყნებელ ნაწარმოებიდან „პუშკინი სამხრეთში“, შემდეგ წაიკითხა თავის მიერ თარგმნილი აკაკის „განთიადი“, ვაჟაფშაველას „ხევსური ჯარისკაცის წერილი“, ხალხური ლექსი „საწყალი დედაბრისასა თაგვნი ყანასა მკიანო“ და ერთი ლექსიც პოეტ ვიქტორ გაბისკირიასი, მაღალი მხატვრული ღირსებით და დედანთან სიახლოვით ი. ნოვიკოვის თარგმნებმა მსმენელებზე საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვეს.

მაგდებურგის ტყვე
სერგო კლდიაშვილი

ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს
შეურყიეთ ტახტის სვეტი.
ორმოც-თვრამეტს...
მე ჩემს ძმებსა დამაშორა,
ლუწისაგან დავრჩი კენტი.
მაღდებურხის ციხეშიგან
დამსვა კარებ დანაკლეტი,
მუნით ვიხსენ, შინ წამოველ,
ქერი ვხან და ყანა, ფეტი.

დავით გურამიშვილი

კუსტრინამდე მცირე მანძილი რჩებოდა, მაგრამ ჭაობიანი მიდამო ჯარის წინსვლას შეუძლებელს ხდიდა. ბინდდებოდა, როცა ცხენოსნები, გრენადერთა პოლკები და არტილერია ქალაქის მისადგომზე შეჩერდნენ და ბანაკად დადგნენ.

ერთფეროვანი, მოსაწყენი გარემო სევდას ჰგვრიდა ქართველ მხედრებს.

ყველაზე მეტად მოწყენილობა გურამიშვილს ემჩნეოდა. სხვა დროს მეგობრებში მას მუდამ სიცოცხლე შეჰქონდა, ახლა კი ხალისი დაჰკარგოდა და ლაპარაკი ეზარებოდა. დაუსრულებელი თვალუწვდენი ველი, ალაგ-ალაგ ბუჩქნარითა და ჯანგაცლილი ხეებით დაფარული, მძიმედ ჩამოწოლილი აგვისტოს რუხი ცა თავს აბეზრებდა და სტანჯავდა, ამასთანავე დაღლილობას გრძნობდა მთელი დღის განმავლობაში ცხენზე ჯდომისაგან.

დავითი კმაყოფილებით შეხვდა განკარგულებას დაბანაკებულიყვნენ. კარგია ახლა გამართოს ხანგრძლივი უმოქმედობით დაღლილი ფეხები!

გარშემო ხმაური ისმოდა. ჩამოქვეითებული მხედრები თავიანთ ცხენებზე ზრუნავდნენ. ადამიანთა ხმები და ცხენების ფრუტუნი ერთმანეთში არეულიყო და გუგუნი იდგა. ქართველ მხედართა პოლკის გვერდით ჩუგუევის და დონის კაზაკები დამდგარიყვნენ და იმათ მხრიდანაც აღწევდა ღრიანცელი.

საერთო ფუსფუსმა რამდენიმე ხნით მიიპყრო დავითის ყურადღება, მაგრამ როცა ხმაური ჩადგა, სიჩუმეში ისევ უნებურად მიაპყრო თვალი გარემოს და ისევ დაეუფლა გულისწამღები ნაღველი.

დაბლობის ბოლოში, სადაც ორი მდინარე ერთდებოდა, გარკვევით სჩანდა ქალაქი. მდინარის ფართო ტოტი ჰყოფდა კუსტრინის განაპირა უბანს ციხე-სიმაგრისაგან. ეს იყო ძველებური იტალიური ტიპის ნაგებობა დიდი და მცირე ბასტიონებით და რაველინებით. ციხეს გარშემო უვლიდა წყლით სავსე თხრილი.

გურამიშვილი უკვე მეორედ ლაშქრობდა პრუსიელთა წინააღმდეგ. მრავალი მათი სოფელი, დაბა და ქალაქი ჰქონდა გავლილი და არაერთხელ უნახავს ამგვარი სახის ციხე-სიმაგრე.

ამ ქვეყანაზე და მის მეფეზე მას არა ჰქონია ნათელი წარმოდგენა, მაგრამ რუს ოფიცრებთან საუბრიდან მრავალი რამ გაიგო,—თუ რა მიზნები ამოქმედებდნენ ფრიდრიხ მეორეს, რა ხასიათისა და რა ბუნების ადამიანი იყო. ის, ვისაც დაუცხრომელს ხდიდა ფიქრი, რომ მონურ მორჩილებაში ჰყოლოდა რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო, გურამიშვილს ბოროტ სულად ჰყავდა წარმოდგენილი და მის წინააღმდეგ ბრძოლას სასახელო და სამადლო საქმედ სთვლიდა. იცოდა ისიც, რომ პრუსიელთ უკრაინაზე ეჭირათ თვალი, დავითს კი ეს მხარე თავის მეორე სამშობლოდ მიაჩნდა.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ფრიდრიხი არც თუ ისე ძნელ საქმედ სთვლიდა წამოეჩოქებინა და მორჩილებაში ჰყოლოდა აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა. როცა მან რუსეთის წინააღმდეგ საომრად გაისტუმრა თავისი საყვარელი ფელდმარშალი ლევალდი, ასეთი სიტყვებით დაემშვიდობა:

— მოსკოვიტელნი ველურთა ურდოს წარმოადგენენ და კეთილმოწყობილ ევროპულ ჯარს წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ. უნდა დავკრათ მათ პირდაპირ გულში და ისე უეცრად, რომ გონზე მოსვლის საშუალება არ მიეცეთ. ჩვენ მალე მივაღწევთ მიზანს, გზა დამილოცნია თქვენთვის, გენერალო!

სამხრეთ ევროპაში იოლ გამარჯვებას მიჩვეული, ის ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ასევე ადვილად გადასთელავდა აღმოსავლეთს, რომელზედაც შორეული და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

ევროპის სახელმწიფოებს ფრიდრიხი მართლაც შიშის ზარს სცემდა. გამარჯვებას დაჩვეულს მადა დღითი-დღე ემატებოდა. ის უკვე ოცნებობდა, რომ გაბატონდებოდა მთელს ევროპაში, ხოლო აღმოსავლეთს ხერხემალს გაუტეხდა, მონურ მდგომარეობაში ჩააყენებდა და პრუსიის გვირგვინის საკეთილდღეოდ გამოიყენებდა.

ამავე დროს ფრიდრიხი თავისთავს უგანათლებულეს მონარქად სთვლიდა. გამეფების პირველ წლებშივე ის სახელმწიფოს მოწყობას შეუდგა: მდინარე ოდერის მიმყოლი ჭაობები დააშრო და დაასახლა. ერთის შეხედვით ეს კეთილი საქმე იყო, მაგრამ თუ რა ამოქმედებდა ნამდვილად და რა ჰქონდა მიზნად, ესეც მალე გამომჟღავნდა. ახლად დასახლებულნი მან ვალდებული გახადა შეესყიდათ მიწები, ხოლო შესული თანხა თითონ წაიღო. ნახევრად ღატაკი ხალხის ხარჯზე შემდეგ აიშენა ულამაზესი სასახლე, რომელსაც უწოდა სან-სუსი ანუ უდარდელი.

ამ სასახლეში მართლაც უდარდელად სცხოვრობდა გვირგვინოსანი და გარემოს წუხილი არ აღწევდა მის ყურამდე. აქედან ფრიდრიხმა გააჩაღა მიმოწერა ევროპის სახელმოხვეჭილ პირებთან და შეეცადა გავრცელებულიყო ხმა, რომ ახალგაზრდა მეფე არა თუ უბრალო მოყვარულია მეცნიერებისა და ხელოვნებისა, არამედ თითონაც მრავალი ნიჭითაა დაჯილდოვებული.

მალე მან მიიწვია კიდეც საფრანგეთიდან ვოლტერი იმ ფარული განზრახვით, რომ სახელგანთქმული პოეტი და ფილოსოფოსი მთელ ქვეყანაზე მოჰფენდა თავისი მაღალი მფარველის ღირსებათა ამბავს.

რამდენიმე ხნის განმავლობაში პრუსიის მეფე მართლაც ითმენდა ემიგრანტ პოეტს. თითონაც დაიწყო ლექსების თხზვა, უმთავრესად ეპიგრამებისა, სადაც მასხარად იგდებდა სხვა გვირგვინოსნებს.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მათი მეგობრობა. ვოლტერი იძულებული გახდა გაქცეულიყო ამ თავისთავზე შეყვარებულ მანიაკისაგან, რომელსაც მეცნიერება და ხელოვნება იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც მორჩილებასა და სამსახურში ეყოლებოდა. არც ერთსა და არც მეორეს არ უდარდნია, რომ მეგობრობა ადრე დასრულდა. განსაკუთრებით ფრიდრიხს. ამ დროს მისი ოცნება სხვაგან დაფრინავდა, დიდიხანია მუზების ტკბილი ხმა მასში ბარაბანის ბრახუნმა შესცვალა. იგი ოცნებობდა არა მშვიდ მშენებლობაზე და თავისი ხალხის კეთილდღეობაზე, არამედ ომებსა და დაპყრობებზე.

რამდენიც მეზობელი მყავს, იმდენი მტერი მყავსო,—ამბობდა ხშირად და მომავალი ბრძოლების სამზადისში იყო.

ფრიდრიხს სწამდა, რომ ის სამხედრო გენია იყო.

ორი ქალი მეფობდა მის დროს ორ დიდ სახელმწიფოში,—რუსეთსა და ავსტრიის ქვეყნებს ორი დედაკაცი მართავდა. ბრაზმორეული ღიმილით ლაპარაკობდა და მათ დამორჩილებაზე ოცნებობდა.

დიდ სტრატეგად მიაჩნდა თავი, მაგრამ ამასთან ისიც იცოდა, თუ რა უადვილებდა ავსტრიის წინააღმდეგ ბრძოლას. მისი საუკეთესო დამხმარე ამ საქმეში თითონ მტერი აღმოჩნდა. მოპირდაპირე მხრიდან თითქმის არც ერთი სარდალი არ გამოჩნდა ისეთი, რომელიც გაბედული და ენერგიული ყოფილიყო. ძალიან ხშირად მოწინააღმდეგე ისე ამარცხებდა პრუსიელთ, რომ ფრიდრიხს საბოლოოდ დაღუპულად მიაჩნდა საქმე. მაგრამ მტერი არასოდეს არ დასდევნებია, არასოდეს მას ბოლომდე არ მიუყვანია დაწყებული გამარჯვება და მუდამ საშუალებას აძლევდა დამარცხებულს, ღონე მოეკრიბა და შემდეგი შემოტევისათვის მომზადებულიყო.

რუსეთის დამორჩილების იმედი კი თავიდანვე არ გაუმართლდა ფრიდრიხს. სულ მალე დარწმუნდა, რომ ძლიერ და საშიშ მტერთან ჰქონდა საქმე. პირველსავე შეტაკებაში მან ისეთი მარცხი განიცადა, რომ თავს საბოლოოდ განადგურებულად სთვლიდა. სასოწარკვეთილმა თვითმკვლელობაც კი დააპირა. როცა ფრიდრიხი იარაღით ვერაფერს გახდა, ნაცად ხერხს მიმართა—მოისყიდა ელისაბედის კანცლერი და მთავარსარდალიც. გამარჯვებულმა რუსეთის ჯარმა, რომლის წინაშეც ბერლინისაკენ მიმავალი გზა გახსნილი იყო, ამის შემდეგ მოულოდნელად პირი იბრუნა.

წარსული ლაშქრობის დროს გურამიშვილი საკმაოდ გაეცნო მტრის მრავალ ზნესა და ვერაგობას. იცოდა ისიც, რომ მტერი შეუპოვარი იყო და არც თუ ისე იოლი იყო მასთან ბრძოლა.

რას მოიტანს ხვალინდელი დღე? რა მოხდება ხვალ იქ, აი იმ ქალაქთან?

უნაგირს მიყრდნობილი დავითი წინ გადაშლილ ველს გაჰყურებდა.

ბინდი ძლიერდებოდა. სიბნელეში გახვეული ქალაქი ოდნავ მოსჩანდა. დაღამებისას აგრილდა, გაქრა აორთქლებული ჭაობის ნისლი, ცა გადაიწმინდა და რამდენიმე მკრთალი ვარსკვლავი გამოჩნდა.

დავითმა მხოლოდ ერთხელ ახედა ცას და უმალვე მოაშორა თვალი. ვარსკვლავის დანახვა უკვე დიდიხანია არ ასიამოვნებდა. მათი ციმციმი მუდამ გრძნობებს უფორიაქებდა და რატომღაც უღვიძებდნენ მიყუჩებულ ტკივილებს შორეულ წარსულზე, ახალგაზრდობაზე და განვლილ ცხოვრებაზე.

ღამის მყუდროებაში სიმღერა მოისმა.

მღეროდნენ მათ ახლო დაბანაკებული დონის კაზაკები.

ამ მწუხარე ღამეში ეს ნაღვლიანი ჰანგები სულს ღრმად წვდებოდნენ. ვერ არკვევდა სიტყვებს, მაგრამ ჰანგები რაღაც უცნაური ძალით თავისთავად იწვევდნენ და ჰბადებდნენ მის გონებაში სიტყვას.

თვალდახუჭული დიდხანს უსმენდა. რა ღვთაებრივი ძალაა დაფარული სიმღერაში!

უსმენდა და თითქო უხილავმა ხელმა გახლიჩაო უხილავი კრეტსაბმელი, მის წინაშე წარმოსდგა დიდიხნიდან მიტოვებული სამშობლო მხარე, საგურამოს ულრანი, ორბის გადაფრენა ქსნის ხეობაზე, ქართლის ველებზე დაჩერებული მხურვალე მზე. იმ შორეული ქვეყნიდან ესმოდა კიდევ რაღაც ხმა. ვიღაც ეძახდა, ვიღაც აბრუნებდა, ვიღაც ელოდა..

ახლოდან გაგონილმა სიცილმა და ღრიანცელმა უეცრად გამოაფხიზლა. გარშემო ღამე იყო, მეტი არაფერი. ნოტიო იგრძნო. შესცივდა. ხრიოკზე მოიკალათა, უნაგირი თავქვეშ მოიდვა და თვალი დახუჭა.

ერთხანს კიდევ ესმოდა ჯარისკაცთა ყაყანი, ცხენების ფრუტუნი. ბოლოს ხმაური მიყუჩდა, და ჩაქვინა.

ნაღარის ხმამ გამოაღვიძა.

შორს ჰორიზონტზე რიურაჟი სჩანდა. ჯერ კიდევ ბნელოდა. გაღვიძებული ბანაკი აშლილიყო. კაზმავდნენ ცხენებს, ისმოდა რკინის რაწკუნი, შეერთებული ათასი ხმა გუგუნად იდგა.

სწრაფად წამოდგა. ძილმა ძალა შემატა. მხნედ გრძნობდა თავს.

პირველ ბრძანებისთანავე ჯარი ქალაქის მიმართულებით დაიძრა.

შორიდან ზარბაზნის გასროლის ხმა მოისმა.

მხედართა შეძახილით და მათრახების დარტყმით შეხურებული ცხენები წინ გაემართნენ.

მწვანე ბალახით დაფარული ადგილი ერთიან ჭაობს წარმოადგენდა. წინა დღეების წვიმის შემდეგ ზოგგან გუბეც დარჩენილიყო. წყლით გაჟღენთილი, ისედაც მარად უშრობი მიწა, ზედმეტ ნამს ველარ იტანდა. ცხენების ფეხებქვეშ თუხთუხებდა ტბორი და ტლაპოთი სვრიდა ყველას და ყველაფერს.

ცხენები თავს ძალას ატანდნენ და მიიწევდნენ.

სადღაც ახლო, დავარდა ციხე-სიმაგრიდან გამოსროლილი ყუმბარა. გამსკდარმა ყუმბარამ მაღლა აისროლა ტალახი და მიმოფანტა. ყუმბარამ, რომელიც ტიტველ ადგილზე დაეცა, ვერავის ავნო, მხოლოდ წუმპეთი შესვარა რამდენიმე მებრძოლი და გარშემო სიდამპლის აშმორებული სუნი დააყენა.

ცხენოსანთა მარჯვენივ მყოფმა არტილერიამ იმავე წუთში უპასუხა მტერს.

გურამიშვილმა შენიშნა, რომ მორტირებიდან გასროლილი ყუმბარები ქალაქში დაეცა, მეოთხე გასროლის შემდეგ იქ ცეცხლი გაჩნდა.

კვამლის შავი ბურთი მალე ალის სვეტად იქცა.

ასეთივე ალი ავარდა შუაგულ ქალაქში.

ცეცხლი სახლიდან სახლზე გადადიოდა. კვამლი შავ ღრუბლად ეფინებოდა ქალაქსა და მის მიდამოებს. როგორც შემდეგ გამოირკვა, პირველივე ცეცხლგამჩენი ყუმბარები მოხვედროდნენ საწყობებს, სადაც უამრავი თივა და ხორბალი იყო მომარაგებული. მოიერიშენი თითონაც არ მოელოდნენ, თუ ასე სწრაფად ასეთ შედეგს მოიტანდა ზარბაზნების და, უმთავრესად, ახლად შემოღებული მარტორქების მოქმედება.

არტილერიის წარმატებით წახალისებული კავალერია და გრენადერები მხნედ მიიწევდნენ წინ. ისინი მალე მიაღწევენ ქალაქს, მაგრამ ჭაობი ბორკავდა მათ მოძრაობას, ყოველი შემდეგი ნაბიჯის გადადგმა უფრო დაუფრო ძნელი ხდებოდა.

გურამიშვილი დაუზოგავად შოლტავდა თავის ზერდაგს, შეძახილით აჩქარებდა, მაგრამ ცხენს უჭირდა და არ ემორჩილებოდა ბრძოლის ცეცხლით ანთებულ პატრონს.

ქალაქთან გამაგრებულ პრუსიელთა ნაწილებმა თავდაპირველად სცადეს არტილერიაზე პირდაპირი იერიშის მიტანა, მაგრამ, ფინდიხით დაცხრილულნი, ისინი თავგზააბნეულნი უკუიქცნენ. მაშინ მათ მიატოვეს ქალაქი, მიაშურეს ციხე-სიმაგრეს და შიგ ჩაიკეტნენ.

როგორც კი მოთავდა ჭაობი, კავალერიამ ჭენებით მიაშურა ქალაქს. არტილერიის გრიალი და მხედართა კივილი უფრო ახურებდა ისედაც გაბოროტებულ ცხენებს.

გურამიშვილს თითქო არ ესმოდა, როგორ სკდებოდნენ გარშემო მტრის ყუმბარები. რამდენიმე მხედართან ერთად თავგამეტებით მიჰქროდა. არ დაუნახავს, ვინ იყო ახლა მასთან, მაგრამ გრძნობდა, რომ ისინი გაბედული მებრძოლნი იყვნენ და მათი სიახლოვე უფრო მეტად აფრთოვანებდა.

ჩუგუევის და დონის კაზაკებთან ერთად ქართველები ქალაქში პირველნი შეიჭრნენ. ციხის მახლობელ სახლებში ჩასაფრებულ პრუსიელთა მხრიდან მოულოდნელმა ბათქმა რამდენიმე წუთით არევ-დარევა გამოიწვია მხედრებში და შეაჩერა ისინი. მტერმა ისარგებლა ამით და ციხე-სიმაგრეში შეიმალა.

ცეცხლმოკიდებულ ქალაქში არც ერთი პრუსიელი ჯარის კაცი არ დარჩენილიყო. ყველა ისინი საიმედო ციხის კედელს მოჰფარებოდნენ და იქიდან მტერს ულმობელ ცეცხლს აყრიდნენ.

გურამიშვილმა ჭენებით გაიარა ალში გახვეული ქუჩები. რამდენიმე მებრძოლთან ერთად ის უკვე ციტადელს უახლოვდებოდა.

მებრძოლნი თავდაუზოგავად ეკვეთნენ მტერს, მაგრამ პრუსიელებმა იერიშები მოიგერიეს. უკანასკნელი იერიშის დროს ციხიდან რაზმი გამოჩნდა. თავგანწირული პრუსიელნი, რომელთაც ტყვიები ცხრილავდათ, გაიქცნენ თხრილზე დარჩენილ ხიდისკენ, დაანგრიეს იგი და ამით მოწინააღმდეგეს გზა გადაუჭრეს.

ციხე-სიმაგრეში მყოფთ ამან დიდი შეღავათი მისცა. ეს გარემოება საშუალებას აძლევდა აგრეთვე მათ ჩრდილოეთის მხრიდან სამშვიდობოში გაეყვანათ თავიანთი კავალერია.

უმალვე გაითვალისწინა ეს გარემოება რუსეთის სარდლობამ და მხედრებს უბრძანა, შემოევლოთ ქალაქისათვის ჩრდილოეთიდან, რომ მტრისათვის უკან დასახევი გზა გადაეჭრათ.

სხვა ქართველებთან ერთად გურამიშვილმა ცხენი შეაბრუნა.

ბოლოს, იერიშის დროს წინ მყოფი, ახლა ის უკან მოექცა თავისიანებს, მან ბრაზმორეულმა შემოჰკრა ცხენს დეზი, წაუწვა და გააქანა.

ზერდაგი მიჰქროდა ცეცხლში გახვეულ ვიწრო ქუჩაზე.

შხამიანი, მძაფრი კვამლი გურამიშვილს თვალებს უბურავდა და უწვავდა.

კიდევაც ჩაათავა ქუჩა, როცა უეცრად მოსახვევში კუთხის სახლიდან აღმოდებული ხეები გადმოცვივდნენ და გზა გადაუღობეს.

ის იყო დავითმა მოასწრო ცხენის შებრუნება, რომ იმავ წუთში მთელი სახლი ხმაურით ჩაემხო. ბორგავდა, ღრიალებდა დატრიალებული ცეცხლი.

გურამიშვილი იძულებული ხდებოდა გაბრუნებულიყო და სხვა გზა ეძია.

საით წავიდეს? როგორ იპოვოს მეგობრები?

უკან ბნელოდა. არაფერი სჩანდა.

ფიქრის დრო აღარ იყო. გაბოროტებით დაჰკრა ცხენს მათრახი და გააქანა.

ხარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7614